# საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# ბრძანება N 01-08/181

ქ. ბათუმი 20 დეკემბერი 2018 წ.

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 16 თებერვლის N01-08/6 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ბსუს რექტორის 2018 წლის 2 ნოემბრის N01-08/152 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–14 მუხლის და ,,დაწესებულების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით) დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N72 ბრძანების, "ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 6 თებერვლის N01-08/7 ბრძანების, საგამოცდო ცენტრის უფროსის ეკატერინე ბაღდოშვილის MES 5 18 01496647 20.11.2018წ მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 16 თებერვლის N01-08/6 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი დამატებები:

„1. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „თ" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

თ) საგამოცდო ცენტრის ბეჭედი - საგამოცდო ცენტრში (გამოყენებაზე/შენახვაზე პასუხისმგებელია ცენტრის დირექტორი);"

2. მე-8 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს „ი" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ ი) საგამოცდო ცენტრის ბეჭედი - გამოიყენება საგამოცდო ცენტრში მიღებული შეფასების უწყისების დასამოწმებლად, ასევე საგამოცდო ცენტრის დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად".

2. ბრძანება და კოდიფიცირებული (შეტანილი ცვლილებებით) ვერსია განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საგამოცდო ცენტრს.
4 . ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოადგილე, პროფესორი თ. სირაძე

თამარ სირაძე